საინფორმაციო ბიულეტენი

ივლისი-სექტემბერი

Georgian Farmers' Association

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

2019

ტრენინგი ენერგოეფექტურობაზე

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

სასათბურე და აგროტურიზმის ბიზნესში ჩართულ მეწარმე ქალებს ენერგოეფექტურობაზე ტრენინგი ჩაუტარდათ.
ტრენინგი პროექტის "ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" ფარგლებში ჩატარდა და მას ორგანიზაცია "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" ტრენერი კონსტანტინე ბარჯაძე უძღვებოდა.
ტრენინგის მონაწილეებმა ბიზნესის მიერ ენერგიის ეფექტურად მოხმარების მხრივ არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს და ახალი შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებით გეგმები დასახეს.
პროექტის მონაწილე მეწარმე ქალები შეხვედრის დროს მიღებული ინფორმაციის საკუთარ საწარმოში პრაქტიკული სახით გამოყენებას გეგმავენ.

Norwegian Ministry of Foreign Affairs

ყვავილები მსჯავრდებულებისგან

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით, პროექტის "ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" ფარგლებში, მორიგი სამუშაო შეხვედრა ამბროლაურში გაიმართა, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქალი მეწარმეები ესწრებოდნენ.
ტურიზმში ჩართულმა მეწარმე ქალებმა ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. პროექტი მიზნად ისახავს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალთა მხარდასაჭერად.

პროექტს "ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

Norwegian Ministry of Foreign Affairs

შეხვედრა მაღალმთიან გურიაში

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე მაღალმთიან გურიაში, სოფელ ზოტისა და ნასაკირალის ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც ალექსანდრე რონდელის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული, ნინო ზამბახიძემ ქალების ეკონომიკურად გაძლიერების მნიშვნელობაზე, ფერმერთა ასოციაციის საქმიანობაზე, ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიაზე, მობილურ აპლიკაცია აგრონავტსა და სოფლიდან.ჯი-ზე ისაუბრა.

ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმი პროფესიულ განათლებაში აგრარული სპეციალობების პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

მემორანდუმს ხელი საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის დირექტორმა ზურაბ ოშხნელმა მოაწერეს.

კვლევა - ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა სახელწიფო შესყიდვებში

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კვლევის - ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა სახელწიფო შესყიდვებში - პირველადი შედეგები წარადგინა.

ღონისძიების მიზანი სახელმწიფო შესყიდვების თემაზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის წარდგენა და აღნიშნულ საკითხზე კერძო და საჯარო სექტორს შორის დისკუსია იყო.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს არ აქვთ საკმარისი ტექნიკური ცოდნა და ინფორმაცია იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში.

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Business

ISET

EXPORT DEVELOPMENT ASSN

everything's covered!

სიდა

ცვლილებებისთვის

ამინათი

კვლევის საჭიროება პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად გამოვლინდა, რაც მოიცავდა სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს, მცირე საგრანტო კომპონენტს, გაიდლაინების შემუშავებასა და პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას.



ღონისძიება გაიმართა პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ხუთი ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის მიერ - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ასოციაცია „ათინათი“ (ATINATI) - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) ხელმძღვანელობით.

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Business

ISET

EXPORT DEVELOPMENT ASSN.

everything's covered!

სიდა

ცვლილებებისთვის

ათინათი

"ეს წალკაა"

პროექტის "ეს წალკაა" ფარგლებში წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სამეთვალ-ყურეო საბჭოს არჩევნები გაიმართა.
პროექტის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით.
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აღნიშნული პროექტის პარტნიორია და პროექტის ფარგლებში ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით იმუშავებს.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთლიანი ბიუჯეტი 179,5 მილიონ ევროს შეადგენს.
ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნას არამარტო აღნიშნულ სექტორში.

CENN
Shaping the Future by Changing Today

ეს წალკაა
EMBRACE TSALKA

ნინო ზამბახიძემ ამერიკული კომპანია „Land O'Lakes Venture 37“-ის აღმასრულებელ დირექტორს უმასპინძლა

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ ამერიკული კომპანია „Land O'Lakes Venture 37“-ის აღმასრულებელ დირექტორს ჯონ ელენბერგერს უმასპინძლა.
აღნიშნული ორგანიზაცია სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს. საქართველოში კი Land O'Lakes Venture37, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად, ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ 5-წლიან პროექტს „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ახორციელებს. შეხვედრაზე პარტნიორებმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის ინდუსტრიაში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებას.

პოზიტიურად შეფასდა პროექტის საწყისი ეტაპი, რომელიც ძირითადად მეცხოველეობის დარგის მწარმოებლებისა და გადამამუშავებლებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას მოიცავს, ასევე უახლოეს მომავალში დაგეგმილი საგრანტო თანადაფინანსების ინიციატივებიც, რომლებიც ზრდაზე ორიენტირებული მეწარმეების, გადამამუშავებლებისა და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების წარმოების წახალისებასა და რისკების შემცირებაზე იქნება ორიენტირებული.
Land O'Lakes Venture37 მხარს უჭერს მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებას სოფლის მეურნეობის ადგილობრივი დარგების გაძლიერების გზით, ეხმარება ბიზნესის წარმომადგენლებს სამუშაო ადგილების შექმნაში და აკავშირებს ფერმერებს ბაზრებთან.
1981 წლიდან, აღნიშნულ კომპანიას განხორციელებული აქვს რძის, მეცხოველეობისა და მოსავლის განვითარების 300-ზე მეტი პროგრამა 80-მდე ქვეყანაში, რითაც ხელს უწყობს ფერმერთა ზრდას, კოოპერაციასა და ბიზნესის განვითარებას.

LAND O'LAKES VENTURE 37

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია - ძლიერი და მდგრადი ასოციაცია საქართველოში

საქართველოს ფერმერთა ასოციაციას საერთაშორისო ორგანიზაცია CIPE-სგან გადაეცა სერტიფიკატი, როგორც ძლიერ და მდგრად ორგანიზაციას საქართველოში.

ტრენინგების ციკლი მესაქონლეობაში

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში ტრენინგების ციკლი 17 სექტემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება. ტრენინგები - სასაკლაოების, ცოცხალი ცხოველების მომწოდებლების, ხორცის სადისტრიბუციო და გადამამუშავებელი კომპანიების წარმომადგენლებისათვის - ქვეყნის მასშტაბით თორმეტ ქალაქში ტარდება.

ტრენინგების ციკლი მიზნად ისახავს აღნიშნული პროფილის კომპანიებში დასაქმებულთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლებას ჰიგიენის საკითხებში, რაც პროდუქციის მიწოდების მთელ ჯაჭვში სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირებასა და თავიდან აცილებას, ასევე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაკმაყოფილებას შეუწყობს ხელს.

ტრენინგებზე, საქართველოში მოქმედი სასაკლაოების, ცოცხალი ცხოველების მომწოდებლების, ხორცის სადისტრიბუციო და გადამამუშავებელი კომპანიების 500-ზე მეტი წარმომადგენელია მიწვეული.

LAND O'LAKES VENTURE 37

არენა 2019

United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

პირველად საქართველოში, design hotel-ის წევრების წლის ღონისძიება „არენა" გაიმართა. ღონისძიებას design hotel-ის წევრები - 300-ზე მეტი სასტუმროს მფლობელი დაესწრო, სადაც ქართველი ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც მოეწყო.
ღონისძიების ფარგლებში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ეზოში, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ საქართველოში წარმოებული პროდუქტი დაეგემოვნებინათ და ქართველი მეწარმეების მიერ შექმნილი პროდუქცია შეეძინათ.
ღონისძიება კარგი პლატფორმა იყო, როგორც პროდუქციის წარმოჩენისთვის, ასევე საექსპორტო ბაზრის ასათვისებლად.

ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაეროს ქალთა ორგანიზაციის, პროექტის „USAID ზრდა საქართველოში" და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით გაიმართა.

Chemonics
Development works here.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

არენა 2019

Chemonics
Development works here.

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA